

რედაქცია

ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება

რედაქცია

სამშაბათი მასალა უნდა იყოს გაზეთის ფასი; ერთი თვით 20 მან. დაწერილი გარკვეულად და ერთ თვით 50 მ. განცხადების ფასი: გვერდზე წერილში აღნიშნული უნდა სტრიქონი პეტრისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. იყოს ავტორის ვინაობა და მისა- ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლო- მართი, დაუბეჭდავ წერილებს რედა- ვიარო განცხადება: თითოეული არა- ქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ უმეტეს სამი გამოცხადების 12 სა- დიდი მოთხოვნები. თამამდე 25 მ., 12 საათის შემდეგ 30 მან.

რედაქცია ღია: დღის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

კანტორა ღია: დღის 8-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ. ფინანსის ს. ფოსტის აღრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

პედაგოგიკა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საკუბურნიო კომიტეტის ორგანო

ჩვენი ქვეყანა-ის რედაქციის განტორასთან და-
ბრსდა გაზეთის ფონდი. მოქალაქენო გაიღეთ
შემოწირულებანი. გაზეთის გამოცემის საქმე
შვითხველთა თანაგრძნობაზეა დამოკიდებული.

პარტიის მისამდე კონფერენცია

გაიხსნება 21 თიბათვეს, დაიხურება 23 ს.
სხდომები სწარმოებს დილა-საღამოობით. დილით - 10-დან 2 საათამდე, საღამოთი
5-დან 9 საათამდე.

მუშაობის პროგრამა

პირველი დღე (21 თიბათვე)

- დილის სხდომა.** სხდომას გახსნის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე, მდივ-
ნობს - მთავარი კომიტეტის მდივანი.
- კონფერენცია** ირჩევს თავის პრეზიდიუმს: თავმჯდომარეს და მის აშხანაგებს,
მდივანს და მის აშხანაგებს.
- კრება** ირჩევს საშინდატო კომისიას, რომელსაც ევალება საღამოს სხდომის
დაწყებამდე მანდატების შემოწმება.
- კრება** ირჩევს სარეგლამენტო კომისიას, რომელსაც ევალება მთავარი კომი-
ტეტის შიერ წარმოდგენილი საკონფერენციო რეგლამენტის განხილვა და თავის
შენიშვნებით მისი წარმოდგენა საღამოს სხდომისათვის. კომისიების არჩევით დი-
ლის სხდომა დაიხურება. შემდეგი ინიშნება საღამოს.
- საღამოს სხდომა** სხდომას ხსნის კონფერენციის თავმჯდომარე ან მისი ერთ-
ერთი აშხანაგი. მდივანობენ არჩეული მდივნები. კონფერენციას მოხსენდება:
1. მთავარი კომიტეტის განვლილი წლის მოქმედების ანგარიში. მომხსენებ-
ბელია იოს. მაჭავარიანი.
 2. პარტიული მუშაობა ადგილობრივ. მომხსენებლებია ჩამოსული დელეგა-
ტები.
 3. პარტიული მდგომარეობა. მომხსენებელია რ. ინგილო. თავდება პირველი
დღის მუშაობა.

მეორე დღე (22 თიბათვე)

- დილის სხდომა.** კონფერენციის მოხსენდება:
1. საპარლამენტო ფრაქციის მუშაობის ანგარიში. მომხსენებელია გ. გვაზავა.
 2. პარტიის პროგრამის გადასინჯვა: მომხსენებელია გ. გვაზავა.
 3. ჩვენი საფინანსო და სამრეწველო პოლიტიკა - მომხსენებელია ნ. ნიკო-
ლაძე და ისონ ლორთქიფანიძე. თავდება დილის სხდომა.
- საღამოს სხდომა.** 1. პარტიის პროგრამის გადასინჯვა: გ) ავტარული პო-
ლიტიკა. მომხსენებელია ა. ასათიანი. დ) მუშათა საკითხი მომხსენებელია ა. ასა-
თიანი.
2. საქართველოს ტერიტორია. მომხსენებელია ექ. თაყაიშვილი. თავდება
მეორე დღის მუშაობა.

მესამე დღე (23 თიბათვე)

- დილის სხდომა.** 1. საქართველოს პოლიტიკური სახე. ჩვენი დოკტრინა და
სინამდვილე. მომხსენებელია სპ. კელია.
2. საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა. მომხსენებელია პ. სურგუ-
ლაძე.
3. თვითმართველობები. მომხსენებელია პ. გოთუა. თავდება დილის სხდომა.
- საღამოს სხდომა.** 1. საქართველოს მხედრობა. მ. პეტრე სურგულაძე.
2. წესდება და საორგანიზაციო მუშაობა. მომხსენებელია ა. ასათიანი.
3. კომიტეტის არჩევა. ყოველი მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. მი-
ღება რეზოლიუცია.

დელეგატები ირჩევიან ხუთასი წევრის კვალობაზედ.
ორგანიზაცია, რომელსაც ხუთასზე ნაკლები წევრი ჰყავს, გზავნის ერთ დე-
ლეგატს.
დელეგატს უნდა ჰქონდეს სათანადო შედგენილი მანდატი,
დელეგატის შიერ ხარჯს კისრულობს გამოგზავნი ორგანიზაცია.
მთავარი კომიტეტი.

ზაქარია ნიკოლოზის ძე, მეუღლე მისი ქსენია ფილიპეს ასული შოსი-
ძე, და ნინო ნიკოლოზის ასული და მეუღლე მისი ალექსანდრე ფილი-
პეს ძე ფილიპოვი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ
მათი უსაყვარლესი-სიძე

ლუკა ანდრიას ძე თვალაძე
გარდაიცვალა 16 ივანობისთვეს. დაკრძალვა დანიშნულია 18 ივანო-
ბისთვეს ოთხშაბათს 4 საათზე ნაშუადღევს, საკუთარი სახლიდან
(არქიერის შთა) გოკოურას სასაფლაოზე. 2-1

დამწებრებული მეუღლე სოფია ნიკოლოზის ასული, შეიღებითურთ,
მაშა ანდრია ნიკოლოზის ძე, ძმა-დიმიტრი, თვალაძეები დები: ანა
ნადარეშილისა და ტასო ფარეშილისა, გულითადი მწუხარებით
აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათი უსაყვარლესი

ლუკა ანდრიას ძე თვალაძე
გარდაიცვალა 16 ივანობისთვეს ოთხშაბათს 18 ივნისს 4 საათზე ნა-
შუადღევს. გამოხსენება მოხდება საკუთარი სახლიდან (არქიერის შთა)
გოკოურის სასაფლაოზე. 2-1

სამშაბათს, 17 ივნისს ქუთაისში ეროვნულ-დე-
მოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის
თავმჯდომარე და დამფუძნებელი გრების წევრი

სპირიდონ კელია

წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: პარტიის კონფერენცია და საპარ-
ტიული პოლიტიკა.

განცხადება

ქუთაისში პირველი ამხ. მეფუტკრეობისა
დაარსდა

ამხანაგობას მიზნად აქვს ეს დარგი მეურნეობისა დააყენოს სამეგალითო ნიადაგ-
ზე, შიწოდოს მსურველთ შესაფერტი ცოდნა ფუტკრის მოვლა და სარგებლობაზე.
ამხანაგობაში შემოსულია შემოდია „პაის“ ყიდვით ქალსაც და კაცსაც განურჩე-
ვლად სარწმუნოებისა; „პაი“ ღირს ასი მანეთი; სარგებლობა და ზარალი იქნება
მხოლოდ შეძენილი „პაის“ რაოდენობის მიხედვით.

მიღებულია ზომები ქუთაისის მაზლობელ უბნებში შესაფერისი საფუტკრის შეძე-
ნისა და მუშაობის დაწყებისათვის.

ჩაწერა ამხანაგობაში და „პაის“ ყიდვა შეიძლება ფეიჭაროვის მაღაზიაში, წმ.
ნინოს გიმნაზიის პირდაპირ 8-3 საათამდე ყოველდღე, კვირა-უქმის გარდა.
დაწერილებით წესდებაში; წესდებების შექმნა შეიძლება იმავე მაღაზიაში.
გამგეობის წევრნი: დონ დამიანე სააკაშვილი, დეკ. პლატონ ცქიბაშვილი,
აქიმი ალექსი დევიძე.

ქაიხოსრო ექიმი ნ. ა. მანიძე
ლებულობს ავადმყოფებს დილით 9-3
საათამდე. ივანოვის ქუჩა, დუჩაიძის
სახლი. 24-21

ექიმი მედიცინისა საზღვარ გა-
რეული უნივერსიტეტი.
ფ. ი. კაპიტელაშვილი
ლებულობს ავადმყოფებს ქალთა, საშარ-
ლის (ტრიპერი, სიფილისი. ექიმობა 606
და 914) და შინაგანთა. პუშკინის ქუჩა.
საკუთარი სახლი. პუშკინის ფოტოგრაფიის
პირდაპირ.

გამოსულიაგით ვისარგებლოთ
სოციალისტური წესწყობილება რომ
ცხოვრებაში არ გატარდებოდა ამას ჩვენ
თავიდანვე ვამბობდით; თეორეტიულათ
შედგენილ გეგმას რომ ცხოვრების სინამ-
დვილე არ დაემორჩილებოდა ამას ჩვენ
თავიდანვე ვუმტკიცებდით ჩვენს მოძმე
სოციალისტებს, მაგრამ ეს მათ არა სჯე-
რლდათ და ჩვენ ვინ იცის რას არა გვწა-
მებდენ. დღეს უკვე ორი წლის გამოცდი-
ლება ვვაქვს და თვალწინ ისეთი მაგალი-
თები გვიდგია, რომ უფრო საბუთიანად
შეძლება შევაფასოთ სოციალისტური

ნაბიჯები სახელმწიფოებრივ ცხოვრების მოწესრიგებაში.

დღეს თითქმის ყოველი დაწესებულება განსაკუთრებით ჩაგრულია. ვერც ერთი დაწესებულება წესიერად წლიურ ხარჯთაღრიცხვას ვერ აწარმოებს; ვერც ერთი დაწესებულება ხარჯებს ვერ ფარავს და თავისი მოსამსახურეთა შტატის შენახვას ვეღარ ახერხებს. ამას ყველა კარგათ ხედავს და ამხე დღეს ყველა სწუხს მიუხედავად პოლიტიკური რწმენისა. სიტყვის გადასავლელად და თავის განამართლებლად ზეგრი საერთო პირობებს აბრალებს და სიძვირეს უთითებს, მაგრამ თვით საერთო პირობები და ეს სიძვირე რომ უადგილო და უღრუო სოციალისტური მოძღვრების სიჩქარით სიტყვიდან ცხოვრების სინამდვილეში გადატანამ შექმნა ამას, არ ამბობს. — არ ამბობს ჯერ, მაგრამ აუცილებლობა მალე ამასაც ათქმევინებს.

მ საათის მუშაობა ყველას კემპირიტებით მიჩნდა, სოციალისტებს კი არა მგონი არასოციალისტიკ დარწმუნებული იყო, რომ მ საათის სამუშაო დროის დაკანონებით სიკეთის მეტი არაფერი იქნებოდა. ყველამ დაიფიქრა, რომ ეს დრო ქარხანაში მოშუშავისთვის იყო და არა ხარახისათვის, შენობის კარებში ხელებ დაქვობილი დარაჯისათვის და კამეჩის ურემზე მჯდომი მუშისათვის. ყველგან და ყველასათვის მ საათის მუშაობა დააკანონა ჩვენმა სოციალისტურმა მთავრობამ, ამით ყოველი დაქირავებულის გული ადვილად მიიხრეს და მათი ხელით უხვად კენჭები მიიღეს, მაგრამ საქმე ამით კი არ გაკეთდა უფრო წახდა; წახდა და ასეც უნდა მომხდარიყო და განახლება რამე მოსალოდნელი იყო? მ საათის მოშუშავე ქარხნის მუშა კი გააკეთებს იმდენს, რომ ნამუშევარი მუშას ქირათაც ეყოს და კიდევ რამე დაქირავებულს დარჩეს, მაგრამ მ საათით დარაჯისა ან ხარახის ქარგლის დამქერი რომ ხარჯებს ვერ დაფარავს განა ეს საეჭვოა? წინდაუხედავად და საქმის დაუკვირებლად მ საათის სამუშაო დროს ცხოვრებაში გატარებამ გამოიწვია ყოველ დაწესებულებაში მოსამსახურეთა შტატის გადიდება, თითქმის გაორგეცხა და ამან კი ხარჯები იმდენად გაზარდა რომ დაწესებულებამ თავი ვეღარ შეინახა. თუ ამას

ისიც დაემატა, რომ ყველა თავისუფალია და მოვალეობის შესრულებაში მთავრობის და უფროსების კანტროლი შემზღვევლია და სოციალისტური მთავრობისთვის უხერხული, მით უმეტეს დანაშაულის დასჯა მიუღებელი; ცხადია შტატი ისე უნდა გაზრდილიყო, რომ ერთ ადგილზე ორი და სამი ადამიანი უნდა მიდებულყო. ამიტომაც ცხადია ერთი ადგილი სამს ვერ შეინახდა და დაწესებულება იძულებული შეიქნებოდა ხარჯები გაედიდებია და თუ საშუალება არ ქონდა ვალეობით გაეწორებია ანგარიში.

აი ახ გზას დაადგა ქალაქის თვითმმართველობა, სადაც პირველ ყოვლისა გამოეფა სოციალისტური შემადგენლობა მართვა გამგეობისა, ამ ორი წლის განმავლობაში ყველა ქალაქი საქართველოს რესპუბლიკისა საგარეობლივად დავალიანდა.

აგეთივე მდგომარეობის ზანკებში, სასწავლებლებში, ფაქტში, რკინის გზაზე და სხვა.

მართალია დღეს ცხოვრება გაძვირდა, მართალია დღეს მოთხოვნილება დიდია, მაგრამ თუ მოსამსახურე პირი თავისი ნამუშევარით მარტო თავს ირჩენს და მისი შრომა მასვე შესახებათ უნდება, ისეთი დაწესებულება ვერ იარსებებს. ჩვენში კი პირიქით ხშირია ისეთი დაწესებულება, სადაც მოსამსახურე პირი თავისი შრომით თავის შესახებ და საყოფ ნაშრომს არ იძლევა. შაშ რამ უნდა შეინახოს ეს მოსამსახურე და ამისთანა პირებისაგან შემდგარი დაწესებულება? ვალმა? ვალსაც ანგარიში აქვს და საზღვარი.

ჩვენი რესპუბლიკის დაწესებულებები სწორედ განსაკუთრებით ჩამდგარი. ან უნდა გაუქმდნენ ან პროგრამა უნდა შესცვლონ და შტატებისა და სამუშაო დროის შესახებ სოციალისტური პროგრამა კარგა დაკვირვებით ვადანჯონ. ნორმალური სამუშაო დროს განსაზღვრა საქირა, მაგრამ ასე ზეპირად არა, უფროს მოსამსახურეებს მ საათი და უმცროსს მ საათი...

ახლა მთავრობა გულმოდგინედ უქმედლებს რაოდენობას ამცირებს, მაგრამ არც ეს გზა გამოდგება. უფრო საქარო და საქირო ისაა, რომ საქმე დღეები

უქმეთ არ იყოს გადაქცეული და სოციალისტური თავზიანობით ყოველ ხარმაცს თავზე ხელს არ უსვამდნენ.

ყველა უქმეებიც რომ მოვსპოთ, თუ ხარმაცი მოსამსახურე სიზარმაცისათვის არ დაისაჯა, მაინც არაფერი გაკეთდება. თუ ყოველ მუშას თავის ნამუშევარი საზრდოთ მოუნდა, სახელმწიფოში სიმდიდრე არასოდეს არ დაგროვდება, სახელმწიფო თანდათან უკან დაიწვეს — ამას უქმეების შემცირება ვერ უშველის. უქმეების შემცირება საქირა, მაგრამ იმ პირობით, რომ იმავე დროს მეორე მხრით სხვადასხვა წოდების უქმეებს არ აწესებდნენ.

დიდი მოთხოვნილება, ცოტა მოვალეობა — აი რა ახასიათებს დღევანდელ მოსამსახურეს. მეტი ხარჯვა, ნაკლები კეთება — აი დღევანდელი მიმართულება უმეტესისა. ასეთ პირობებში სახელმწიფო არ აღორძინდება, მას პირიქით განადგურება მოელოს.

სოციალისტური პროგრამა ყოველ წარმოებას სპობს, წარმოების მოსპობა კი სიძვირეს აჩენს და აი ამ აუტანელ გარემოებაში იხრჩობა საზოგადოება.

რაც გვემართება — ეს მოსალოდნელი იყო და რომ უარესი არ დაგვემართოს კარგათ ვადანჯონ სოციალისტური პროგრამა რიხით გამოტანილი, მაგრამ სინაბრტეს მოკლებული, ყურში მოსაწონი, მაგრამ გონებით მიუღებელი.

ტრიფონ ჯაფარიძე.

ინგლისური პრესა.

(საქ. დებ. სააგენტო). თუ გერმანელებმა უარყვეს ხელშეკრულება, მაშინ პრეზიდენტი ვილსონი ამერიკაში წავა და ლანსინგს მიანდობს საზავო მოლაპარაკების დამთავრებას. პოლკოვნიკი ხოუსი ზვალ ლონდონში მიემგზავრება, რათა ხალხთა ღივის ორგანიზაცია დაიწყოს. ჩეხო-სლავების მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ოთხთა საბჭოში კამათის დროს კლემანსომ დიდი პოლიტიკური გამარჯვება მოიპოვა. ეხლა გამოიქცა, რომ შეთანხმება საფრანგეთის პრემიერის სურვილისამებრ მოხდა. ულტიმატუმში, რომელიც გერმანელებს გადაეცემა, არ-

სებითად მხოლოდ ის იქნება აღწერილი, რომ საფრანგეთი ვერაფერით მოხას ვერ შეაჩქენს გარდა მინარისას. დღევანდელ ინგლისში ჯორჯსა და ვილსონზე გაიმარჯვა. სონი ყოველთვის სკდილობდა, ელოვანი გადაწყვეტილებანი მიელოთა საბჭოში. ის განზე იდგა და მზად იყო კლემანსოს აზრი გაეზიარებინა ვილსონი არა დროს არ უქერდა ხელშეკრულებაში განსაკუთრებით ცვლილებების შეტანას, რასაც ჯორჯი ესწრაფებოდა. პარასკევს ნელგებს ვადანჯვენ პასუხს, რომელ განმარტებული იქნება ყველა საზავორობა. თუ ნ დღის შემდეგ გერმანელები არ მოაწერეს ზავს, მოკავშირეები შეტევას დაიწყებს და ბერლინს გაილაშქრებს. ამას შესახებ სხვა და მოსახრებამ იჩინა თავი. ოპტიმისტები ბობენ, რომ გერმანელები ხელს მტრენ ზავს, როცა დარწმუნდებიან რაოდენ ანაზღაურების საკითხი მოკრებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს. ფებენ, რომ გერმანელებისთვის მიკვდას ვადიდებენ. შესაძლებელია ერთ რომ ბროკლორფ ტანტკაუ არ მოაწერს ხელშეკრულებას, თუ შეცვლილს.

მოხდა შეთანხმება, რომლის ძალა ხარალის ანაზღაურების კომისია კვეულ პასუხს ოთხი თვის შემდეგ ცემს და არა მ წლის შემდეგ, როცა ეს თავდაპირველად იყო გადაწყვეტილი სილგზისთვის პლემისციტა მოკავშირემა საჭიროდ აღიარეს, რასაც ისე ხსნაროგორც გერმანიისთვის სილგზის ტოვებს, იმ პირობით კი, რომ პრეტისა და ჩეხო-სლოვაკიის სასარლოდ ზოგიერთი პირობები იქნება ცული.

გერმანული პრესის ცნობა

საქ. დებ. სააგენტო. გერმანიის პრეზიდენტმა ვაზ. რუი ნალე დე იტალია-ს წარმომადგენლებს უთხრა, რომ ის მხოლოდ ისეთ მოაწერს ხელს, რომლის შესრულებაც შესაძლებელი იქნება. ეროვნულ ყრილობის უახლოეს სხ-

წიკურბები.

ჩემი გულისთქმა — ტრფიალი ქართველი ხალხისა, — და შწერლობისა შიძილებს ხან აქ ვიყო, ხან იქ, ვუკვირდებოდე ქართველი ერის ცხოვრებას, ვასწავლიდე მოხარდებს, რაც მათ არ იციან და ვსწავლობდე დიდებისა და გამოცდილებისაგან, რაც მე თვითონ არ ვიცი და ან გამომჩინა...

სწავლა სიბერენდე კაცს არ მოსქარბდება...

და, აი, მუდმივმა დაკვირვებამ, მუდმივმა ფიქრმა და ოცნებამ ჩვენს წარსულსა და მომავალზე, ერთს დასკვნამდე მიმიყვანეს:

— ქართველი ერი თავის შეგნებისა და მოვალეობა — მოთხოვნილების მხრივ დღეს ორ უთანასწორო ნაწილად არის გაყოფილი:

— ერთს მხარეზე სდგას ქართველი ერის დიდი უმრავლესობა, ანუ როგორც ახლა ეძახიან, ქართველი მასსა, ის ნაწილი ქართველი ერისა, რომელსაც არა შქონია „ბენდიერება“ ესწავლა რუსის სკოლაში, ეგემნა რუსული „ბორში“, რუსისავე ყაზარმებში, და განეცადა ზეგავლენა გამარუსებელი პოლიტიკისა.

ეს ნაწილი ქართველი ერისა, არის მიწის მუშა — გლეხობა, მუდამ დაიწვევებული ღვთისა და კაცისაგან, თუშცა მუდამ ოფლის მღვრელი, შუდამ მკვებავი ქვეყნისა, ბურჯი და საფუძველი საქართველოის მომავლისა.

მეორე მხარეზე სდგას — მცირე ნაწილი ქართველი ხალხისა: — რუსის სწავლა დამთავრებულნი, ამავე სკოლებიდან გამოცხადებულნი ზოგი კი კაცობისათვის და უფრო ბევრი კი ავკაცობისათვის, რუსისავე მოხელეობად — ჩინოვნიკებად ნამყოფნი — მღვდლები, თავადებ-აზნაურები, ვაჭრები, დაბა-ქალაქებში უსაქმოდ მოხეტიალენი და რკინის-გზა ტრამვისა და ქარხანა-ფაბრიკის მუშები, რომელთაც შეტახებლად პროლეტარებს ეძახიან.

ერის ამ ორ ნაწილს შორის უფსკრულია გათხრილი, — ეს ორი ნაწილი ისე არის ერთმანეთზე დაშორებული, როგორც ცა და დედამიწა.

ნუ გაგიკვირდებათ ასეთი ჩემი თქმა და შედარება!

ნუ იფიქრებთ, რომ მე ვანგებ ვადრმაივბდე განსხვავებას მათ შორის ისე, როგორც დღევანდლამდე აღრმავებდენ რუსეთის რევოლიუციის ჩვენი სოციალ-დემოკრატები, ან დღეის შემდეგ უფრო უპირებენ „ვადრმაივებას“ ამავე რევოლიუციის ჩვენი სოციალისტ-ფედერალისტები! —

არა! ვისაც თვალი დასანახავად აქვს მიცემული და გული და გონება მოვლენათა განცდა-განსჯისათვის, ის დამეთანხმება, რომ ვადარბებულს არას მოგახსენებთ და აი რატომ:

რუსებმა საქართველოში შემოსვლისთანავე (ამ ასეიღმეტის წლის წინან — 1801 წ.) მიზნად დაისახეს მოესპოთ საქართველო, ქართველი ტრი, ადგავათ პირისაგან ქვეყნისა ტირანპულაობა ჩვენი

ხალხისა, გაენიავებინათ საუკუნოებით შექმნილი ზნეობა — სამართლიანობა, რაობა და ვინაობა ქართველობისა და იარაობად ექციათ დიდი ისტორიული წარსული ივერიისა.

ვერაგულ მიზანს ვგრაგული საშუალებანიც ჩააქსოვეს.

1) გაადრმავეს და გაამწვავეს დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის. 1807 წელს საქართველოს მაშინდელმა გამგებელმა რუსის მოხელემ ნახა რა ჩვენებური, ქართველური ურთიერთობა ბატონსა და ყრმას შორის, რომელიც ბევრად ლამობიერი იყო, ვიდრე რუსეთში —, გამოითხოვა რუსებისაგანვე პოლიტიკურად ყოველგვარ უფლება აყრილ ქართველთავად აზნაურებისათვის — როზგი ყმის გარეკრულება და გლეხის მიწაზე მიკვრა — ესე იგი დააწესა ნამდვილი რუსული „კრეპოსტნიკ პრავო“, რომელიც ყუცხო იყო საქართველოს სახელმწიფო სამართლისათვის და რომელმაც შემდეგში წარმოშობა ერთის მხრით ლუარსაბ თათქარიძეები, დათიკოები, ტარიელ მკლავაძეები, ხოლო მეორე მხრით ოსმან-ჯდები, კაკო ყაზალები, გაბრიელები, ზაქროები და ჩვენი შინაჯუჯა, ჩვენის წარსულისა და მომავლის არამკოდნე და არგამთვალის წინებელი, ბრმათა და ყრუდ „შქადაგებელნი“ „კლასთა ბრძოლისა“ საქართველოში...


2) რუსეთმა წაველო ქართველ ხალხს ხელი სულის საძირკველში, შეურყვნა ნაწუსი და სინილისი, წაართვა სჯული და ეკლესია, მღვდლები და ბერები გა-

ხალა ჩინოვნიკებათ, მრეველი კი — მოწმებთა და უპირობათ.

3) მოსპო რა თავისუფლება სინილსა, რუსეთმა მოსპო ქართული სამართალიც — სასამართლო გადაქცია „კონსკად“ და სამართლიანობა — ძალმომრებად: კანონი და სამართალი ჩვენში ლიის ხერვლს დავმზავსა.

4) მოსპო სამართალი და სამართლობა, ჩაჰფლა რა ქართველობა კანლარიულ მიწერ-მოწერასა, მარკებსა, ნოსებსა“ და „ქვეშქვეშობაში“, ასე შეუდგა ახალთაობის მოწამვლას თავის სკოლებით.

საქართველოს წასულსა და აწმყ შორის ჩამოაფარა შავი ფარდა. „რუსეთის მცნებათა ნაცვლად“ შეათვისებინა „დომოსტროის“ დახვსებული აზრებს დავით-აღმაშენებელის ისტორიის მაგვე შეაყვარა ვლადიმერ მონომახისა და რმანოვების „საქმენი საგმირონი“; ტკალი ქართული სიტყვიერების წილ აზრებინა: „ბებობ, ბიაშე და ჩიფიკაბიკი“, ავთანდალ-ტარიელ-თინათინ-ნეტნის ზნეობა-მოვალეობის შეთვისების ნაცვლად, დაუსახა „ვეგენი ონგენისა“ ტატიანას“ ქარაფშუტობა, სამშობლოს და მამულისათვის თავდ-დების ნაცვლად ჩვენ რუსის სკოლაში ვისწავლეთ ჩინონიკობა, მლიქვნელობა, უფროსის ფეხალკავა, ბეზლობა, ერთმანეთის სიძულვალრი, გაფიქვა, ამპარტავენება, უკადრობა, დაიწვევა ამავისა და ჭურჭმარლისა, შევიძლეეთ დედ მამა, შევიძლეეთ ნამდვილი ერთობა და ქართველურ



აწე საზოგადოებრივ ცხოვრებას განიხილა. ვინც არ არის გამოარკვეული, თუ რა დღეს შესდგება ეს სხდომა.

გემ „პაუნარკასტე“ როტერდამში ჩამოვიდა 400 მამაკაცი, 250 ქალი და 200 ბავშვი. ესენი საზღვრით აფრიკიდან მოდიან და გერმანიაში მიემგზავრებიან.

„დელი ექსპრეს“-ს ვარაუდით ატყობინებენ, რომ პარლამენტის გახსნის დროს გამოაქვეყნებს გენერალ ჰინდენბურგის სიტყვა, რომელიც მან თითქოს სილენიუმში წარმოთქვა. ამ სიტყვაში ჰინდენბურგი ვითომ ემუქრება მოკავშირეებს და აგრეთვე აღნიშნულია, თითქოს პოლონეთის დამოუკიდებლობა დიდ საფრთხეს წარმოადგენს, მაგრამ ის გერმანელებს არ აშინებს, რადგან ჩვენ პოლონეთის ეროვნულ მოთხოვნებებს მალე მოაღებთ ბოლოს. შემდეგ კორესპონდენტი ამტკიცებს, რომ გერმანიის მთავრობამ ამ სიტყვის გამოქვეყნება აკრძალა იმ მიზნით, რომ ამ სიტყვის შთაბეჭდილება წიგნითა და ჰინდენბურგი გადაეყვანა. ყველა ეს ცნობები, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს ავტორიტეტულ წყაროებში უარყო ჰინდენბურგი სილენიუმში 1917 წელს. თებერვლის აქეთ არ ყოფილა და ამიტომ შეუძლებელია მას იქ სიტყვა წარმოეთქვა. აგრეთვე არ არის მართალი ის, რომ გერმანიის მთავრობამ არ გაუშვა მისი სიტყვა და თითქმის ის იმ სიტყვისთვის გადააყენეს.

ვილსონი იტალიის მოსაზღვრე ხაზს ეტანება და პრინციპებით მოითხოვდა, ეს ხაზი კი ჩრდილოეთით ისე გადადის, რომ გერმანელებით დასახლებულ ოლქებს სჭირს: აგრეთვე გერმანიასა და პოლონეთს შუა იმ მიზნით კი არ იღება საზღვრები, რომ ეს ორი ერთი მორიგებით იყოს, არამედ იმ მიზნით, რომ პოლონეთის შეტევა გერმანიაზე შემსუბუქებული იქნეს. ხალხთა ლიგის მაგივრად, რომელსაც ვილსონი მოითხოვდა მთელი ქვეყნიერების ბედისწილი შეთანხმების სახელმწიფოების ხელში გადადის. მოკავშირეების პოლიტიკამ გამოიწვია დროებითი ზავი, ეპიდემია და სამოქალაქო ომი. იმ დროს როდესაც მოკავშირეებს ხალხისათვის ბლოკადა შეეშლოთ ავტორიტეტით. შეთანხმების სახელმწიფოების

მოვალეობა და დღესაც, იმ დროს როცა, თითქოს დაუხსლტით ხელიდან რუსეთის მონობასა და კლანჭებს, ასე იქნება გერმანიის ნაზავი მამულიშვილსა და მთლიანი საქართველოს, მის ერის დასაცემს!...

მიხედ-მოიხედეთ თქვენს გარშემო, ვადით ქუჩებზე, დაესწარით მიტინგს, ქორწილებს, კრებებს, ილაპარაკეთ ქართულად, გამოსთქვიეთ გულის ნადები, გაახსენეთ ანდერძი ჩვენთა ძველთა, გაუთვალისწინეთ დღევანდელი ყოფნა საქართველოს, დაახსენეთ შედეგი უცხო ხალხისაგან შეთვისებულ ზნეობისა, უცხო ცხოვრებისაგან ამოკრებილ აზრებისა, იყავით გულწრფელი, სამართლიანი, და ანახვეთ შეცდომანი, უმტკიცეთ რომ საქართველოს იხსნის მხოლოდ ერთობა მთელი ერისა-განურჩევლად მიმართულებისა და...

როგორც აფთრები, ისე მოგვარდებიან ყელში, გვიკინებენ, გაგაწილებენ, და გვიკინან: როგორც კობი ისე მოგაყრიან პირში: სოციალიზმს, ინტერნაციონალიზმს, მსოფლიოს ძიებას, მთელი ქვეყნის ხსნას!

მერე ვინ? ისინი, ვისაც წარმოადგენს კი არა აქვთ არც სოციალიზმზე, არც ინტერნაციონალიზმზე, არც მსოფლიოს ძიებაზე, და მხოლოდ გარეგნულათ ზიარებულან უცხო „განათლებლებს“! თქვენ ხელდავთ, რომ ისინი დაუბრძობებია პარტიულ დოგმას, მაგრამ უფრო კი... პარტიულ სარგებლიანობას...

იმპერიალისტები თავისი ტრიუმფებით და 14 მუხლის ცხად დამარცხებით ამაყობენ. პოლონეთის იმპერიალიზმი, რომელიც მოკავშირეთა იმპერიალიზმს უჭერს მხარს, თვით პოლონელებისათვის საფრთხეს წარმოადგენს.

უკანასკნელი ცნობები.

ტყვია-წამალი დენიკინისთვის.
ბაქოს მუშათა კონფერენციის პრეზიდიუმის ცნობით ბაქოში ამ ემად დენიკინის ხელქვეითი ოფიცრები ყუმბარებითა და სამხედრო მასალით სტიკირთავენ გემ „ბაკინგ“-ს, რომელიც დენიკინთან გასაგზავნად არის დანიშნული მათ ეხმარებათ ამ გემის კაპიტანი. პრეზიდიუმმა ეს ამბავი აცნობა ადერბეიჯანის პარლამენტის სოციალისტურ-ფრაქციებს და სთხოვა ენერგიული ზომების მიღება „ბაკინგ“-ის დასაჭერად.

გელაპარაკა სტამბოლში.

სტამბოლიდან მიღებულ უკანასკნელი ცნობებით იქაურ წრეებს მეტად აფიქრებს ის რთული მდგომარეობა, რომელიც ბოლო ხანებში სმირნაში შეიქმნა. სმირნაში დაწყებული აღელვება მეზობელ ვილაეთებსაც მოედო. პარტია „იტტიხადი“ ჩაუდგა სათავეში ამ ეროვნულ მოძრაობას და მას ორგანიზაციული ხასიათი მისცა. წარმოადგენელი სიჩქარით განვითარებული მოძრაობა მოედო კონსტანტინოპოლსაც, რასაც შედეგად მოჰყვა მთავრობის შეცვლა. ამ გადატრიალებას მოჰყვა მდგომარეობის მეტად გართულება.

ახალი ამბავი

საირიდან კედისა ლექცია. დღეს ქალაქის თეატრში დამუშავებული კრების წევრი საირიდან კედისა წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „პარიზის კონფერენცია და საქართველოს პოლიტიკა“ ლექციის შემდეგ გაიმართება კამათი.

ნოე ყორღანია. მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნოე ყორღანია კვირას ბა-

ან კი, ვინ არ იცის, რომ დიდი სარგება დღეს ყოფნა სოციალ დემოკრატიულ პარტიაში ვინაიდან ანა-ბანა თუ იცი, მინისტრობასაც კი უნდა მოელოდე!

ან კი ვინ არ იცის, რომ არა ნაკლებ ხელსაყრელია ფედერალისტობაც, ვინაიდან ესენიც „სოციალისტები“ არიან და დღეს თუ არა ხვალე მაინც—მათის აზრით—ახლა ესენი გახდებიან ქვეყნის ბატონ-პატრონი და ქვეყნის პატრონობას კი მოსდევს ხალხზე ბატონობაც. და ეს ყველამ ვიცით, მაგრამ რა ემატება ამით საქართველოს.

აი, საკითხი რომელიც მუდამ უნდა ახსოვდეს ხალხის ნამდვილ ჭირსუფულს!... ჩემის ღრმა რწმენით ისეთი მომზამელი, ისეთი მომწამელი იყო რუსეთის გავლენა ქართველ მკირე ნაწილზე (ვისაც ან რუსის სკოლაში უსწავლია, ან ყური მოუკრავს უცხო აზრებით გაბრუნებულ პროპაგანდისტების ლათაიებისათვის) რომ საქართველო და მისი დამოუკიდებლობა „მხოლოდ საშვადღობა“ უაღრესად განდიდებისა და გაბატონებისათვის. საქართველო და ქართველი ხალხი კი კიბეა მათთვის კიდევ უფრო მაღლა ასაცოცებლად!

კიდევ მეტსაც ვიტყვი. რუსის სკოლასა და უცხო აზრებით აღზრდილ ნაწილს ქართველობისას იმათ უმრავლესობას, რომელთაც დღეს თავი სოციალისტებათა და დემოკრატებათ მოაქვთ—არც კი ესმით ქვეყნის დემოკრატიზაცია და თვის მიერ გაბრუნებულ მიმდევრებს მათ ღაუკითხავად უჭერენ კანონებს და ასწავ-

თომის მატარებლით ქუთაისში ჩამოვიდა. იმავე მატარებლით იგი ბათუმს გაემგზავრა.

საკათედრო ტაძრის გატეხვა. შაბათს 14 ივნისს ღამით ბოროტ გამზრახველებმა გასტეხეს საკათედრო ტაძარი. როგორც გამოძიებიდან სჩანს ბოროტგამზრახველი ჩასულა სამრეკლოდან. წაღლით მხოლოდ მღვდელ მთავარის ფრანკის ჯვარი შანდლები (დიკირი და ტრიკირი) ძვირფასი ნივთებისათვის ხელი არ უხლებიათ. საინტერესოა შიგნიდან არის გატეხილი ტაძარი თუ გარედან?

ქუთაისის დაბალი სკოლების მასწავლებელთა კრება. რომელიც არ შესდგა კვირას 15 ივნისს, ნახდებია ხვალ 18 ივნისს, ნაშუადღევს სრულ-5 საათზე ივანოვის ქუჩაზე, დაბალ-დაწყებით პირველ სასწავლებელში. განსახილველია სეკურადლება საკითხები **გამგებობა.**

მოკვლა. სიღნაღში, 12 თბილისს, ღამით ავაზაკები თავს დაესხნენ ცნობილ მრეწველს ალექსანდრე სარაჯიშვილს და და ვერაგულად მოკლეს.

„კოლონიალისტი“ გარშემო. კოლონიალისტების გამგებობის დადგენილებით საქონლის შესაძენათ თფილისში სპეციალურათ კაცი გაიგზავნა.

პატარა ფელეტონი.

„წითელი—ბეზარი“

(მოწვევა ქალის დღიურიდან)
არ ვარ არც ხუმრობის, არც წერის და არც კვლევა-ძიების მაღაზრე, რომ ჩემი ხუმრობით მკითხველი ვაქინო, წერით სულის არისტოკრატია ავალაპარაკო და ნაკლებით კიდევ დემოკრატიის თავები დავამძიმო.

არ მაქვს მეთქი მადა, ვამტკიცებ, რადგანაც მკითხველმაც კარგად იცის რომ ყველაფერმა სიიფის სახე მიიღო და როდესაც ყველაფერი მუქთად იშოვება ღირებულება და მადაც დაკარგულია.

დრო გადასული „კავალრები“ ამტკიცებენ, რომ ცუდია დაკარგული სიყვარული.

ეს მე არ ვიცი. არ ვიცი რადგანაც არც სიყვარული მქონია და არც დამიკარგავს იგი.

ლიან იმას, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ქართველი ხალხის სურვილს, მოახლოვნილებას და სამართლის მოყვარეობას.

იძახიან დემოკრატები ვართო და ისე კი იტყვიან, როგორც ძველი მბრძანებლები!—არ უნდა იყოს სიეკლესიო ფქმეები, წესები, ადათები—ქართველმა კლასებმა ერთმანეთი უნდა ამოეღოტონო, ასეთია ჩვენი ნებაო.

მერე შეეკობენ ხალხს, ქართველ ხალხს: რადაა მისი ნება და სურვილი?

—რა ბრძანება!

—ხალხმა აგვიჩინა და ჩვენი სურვილი ხალხის სურვილიცაო!

აი მათი მოკლე პასუხი... არა, ბატონებო, ეს არც პასუხია და არც დემოკრატიზაცია გახლავსთ!

თქვენ მომზამული ხართ რუსეთის საწამლათ, თქვენ დამრბამებულნი ხართ სხვისი აზრებით, თქვენ ხელმძღვანელობთ სხვისი გონებით, თქვენ არ იცნობთ თქვენ ხალხს, ქართველ ხალხს და ხალხი იგი მიგყავთ „ქართულ რეგულაციამდე“ რომელიც მხოლოდ ერთათ ერთი გასწავლით თქვენ ჭკუას, რომელიც მხოლოდ ერთად ერთი გავაცნობთ ხალხის მეთრე დიდ ნაწილს, იმ მასსა, რომლის არჩეულად თქვენ დღეს თქვენი თავსა სთვლით და რომელსაც თქვენ არცა სჯერა—რა და არც ოდესმე დაგიჯერებთ, ვინაიდან მას თავისი საკუთარი სიძიებელი აქვს.

რა არის ეს სიძიებელი.

ამაზე შემდეგ.

ია ეკლამე.

და ყველაფრის დაკარგვა როდი ყოფილა ცუდი.

ვინც ჰკარგავს შენს ცხოველს და სულის ტკივილი, მაგრამ სასაფუარი ვინც პოულობს იგი მზიარულია, ზეიმობს პოეტის წუთებს.

მეც ვიპოვე. მაგრამ სიყვარული კი არა. არა. ვიპოვე დღიური ერთი მოწვევა ქალისა, რომელიც დიდ ღირებულებას წარმოადგენს თანამედროვე იუმორისტთა წრეებში.

რომ ეს დღიური არა, მე დღეს მკითხველებს ვერ დავწახებოდი.

როგორც უკვე მოგახსენეთ ვზეიმობ პოეტის წუთებს და მინდა დრო გამოშვებით გამოავაქვეყნო ნაწილები ხსენებული დღიურიდან.

ვინ იცის: შეიძლება ამ დღიურის ავტორი ეხლა მწარე ცრემლებად დნებოდეს, მაგრამ პირობას ვსდებ: თუ იგი ამ დღიურის ჯავრს ვადაწყვე, მე მის ხსოვნას ნეკროლოგს ვუძღვნი.

ძალიან მეკრძალება, მაგრამ ვარსკვლავის შემდეგ ამ სტრიქონების ქვევით რომ არის დასმული, მე ამ დღიურიდან ერთ ნაწილებს ვუთმობ ადგილს.

წითელი ბებერი.

... დღეს მშვენიერი მაისის დაუსრულებელი ცისფერი ტაროსი იყო. მიყვარს ცისფერი ტაროსი, რადგანაც ჩემი თვალებიც ცისფერი და ღრმაა, როგორც მაისის დაუსრულებელი ცისფერი ტაროსი.

ჩემთვის რომ ღმერთს მუზა მოეცა მგოსანი ვიქნებოდი. მე მიყვარს მუზა, როგორც მგოსნებს უყვართ იგი.

და მე რომ მგოსანი ვყოფილიყავი, ყვითელ სანთლებს ავანთებდი, წითელი ხარის ყვითელი რქების ოდენას, ახალ მოდის ლექსებად გარდავიქმნებოდი და წითელ ბებრებს ქლექიანი კბილებით დავგლეჯდი.

სული წაიღო სული ამ წითელმა ბებრმა. მასხოვს ცხონებული დედაჩემი რომ მიამბობდა ხოლმე, თურმე სასწავლებელში დედაჩემსაც ეგ წითელი ბებერი ასწავლიდა. იმ დროს მას არ ეძახოდენ წითელ ბებრს, მაგრამ ცნობილი იყო „Welic“ ის სახელით და ცხონებულ დედაჩემის ამხანაგებსაც თურმე ისეთივე თვალებით უსტერდა როგორც ჩვენ ეხლა.

საბრალო ბებერი! რამდენი გვხვდა დღეს მაისის დაუსრულებელ ცისფერ ტაროსში!

და როგორმე თავიდან რომ მოგვეშორებია ასეთი სიტყვებით გავისტუმრეთ.

ძვირფასო მასწავლებელო! თქვენ ჯერ ძალიან ახალგაზრდა ბრძანდებით; ცოტა დაიცადეთ და ჩვენი შეილები რომ დაიზრდებიან იმაზე დაგწერთ „ჯარს“!

და იგიც დაიგდებული წავიდა.

ოხ, წითელო ბებერი!

მე რომ მგოსანი ვყოფილიყავი, ყვითელ სანთლებს ავანთებდი, წითელი ხარის ყვითელი რქების ოდენას, ახალ მოდის ლექსებად გარდავიქმნებოდი და ქლექიანი კბილებით დავგლეჯდი.

25 მაისი

მე მესმის დღიურის ავტორის სიძულვილი წითელი ბებრისადმი და როგორც ვსთქვი იგი დღიურის დაკარგვის ჯავრით ალბათ ცრემლებად დნება, მაგრამ თუ გადაიცვალა მე ნეკროლოგი მზადა მაქვს.

წითელ ბებრს კი ვუსურვებ დავაქვაცუბას, რომ მის ქორწინებაში ჩვენც გვექვიფოს.

ისკანდერ-ბეგ.

სახალხო გასწავლებელთა მოწვევა.

სახალხო განათლების სამინისტროსაგან მივიღეთ წებარ-რთვა, მივსცეთ მოწვევები იმ პირთ, რომელთაც გასული წლის არადადეგებზე ქუთაისში მოისმინეს სახალხო მასწავლებელთათვის გამართული კურსები და გამოცდებიც ჩააბარეს. მოწვევებში მზად იქნება ამ თვის დასაწყისში.

